საქართველოს მთავრობის

დადგენილება №494

2024 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ III, 33, 31/03/2010, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 156-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 156^1 გრაფა:

„156^1	სეს ესნ-ის 7214 სასაქონლო პოზიციაში კლასიფიცირებული არმატურის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაფორმება (გარდა არმატურაზე გაცემული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ის ან წარმოშობის დეკლარაციის საფუძველზე საგადასახადო შეღავათის გამოყენების შემთხვევისა)		1 ტონა – 420 ლარი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 25 იანვარს და ძალაშია 2025 წლის 1 სექტემბრამდე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**